


479 4988

9(479)

F145
T

734



ტბოკრაფიული განხილვა ძველთა და ახლთა კაპა-
დოკიის ან ჭანეთის ძველდრთა მოსახლეთა.

საქართველოს ერი, ენისა და ლაპარაკის მიხედვით,
განიყოფება ორად: პირველსა შეადგენენ: ქართველნი, ე. ი.
მცხოვრებნი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურჯისტისა,
სამცხე საათაბაგოსი, და მეორესა: მეგრულნი და ჭანულნი
მოსახლენი სამეგრელოსი და ჭანეთისა ან ძველის კა-
პადოკიისა.

ძველი კაპადოკია მდებარეობდა მცირის აზიის
შუაგულში და იყო მოსამზღვრე ჩრდილოეთით შავიზღვის
ღმინის მდინარის შესართავივამ, ვიდრე ქალქადმე-
რიზა; სამხრეთით კილიკიის მთებისა (აწ ბუღლარ და
აღადაღი); აღმოსავლეთით კოლხიდისა (აწ ოსმალეთის
საქართველო), ამის შემდგომ ადგილებისა და ხალხთა,
რომელნიც არ ეკუთვნოდნენ არცა საქართველოს ნათუ-
სავთა, არცა სომეხთა, (1) და ამათ უკან ეთვრება მდინა-
რისა და მცირე სომხითისა; დასავლეთით ჭალიზის ან

(1) სტრაბონი, წიგნი 12. §. 1. ეს ადგილი არის
ბაზიანი და არსოუმის შესრენი.

40 (15x11) ნ.პ.7

აღსახრის მდინარისა, რომელიც განჭეოდა კაზადოკიასა მხარეთაგან ჰაფლაგონიისა, გალატისა, ფრიგიისა და ლიკიანისა (1).

დროსა სპარსთა ფლობისა, ე. ი. სუთის საუკუნის წინათ ქრისტეს შობის კაზაკადოკია შეადგენდა ორს საერისთოსა ან სატრავნიას (2). შირველი საერისთო იყო კაზადოკია ხმელეთისა, მეორე კაზადოკია შავის ზღვის ნაპირისა; ორივე საერისთონი განისაზღვრებოდნენ სტიდიის მთებითა (აწ ჭანეთის მთები). საზოგადოდ სივრცე კაზადოკიისა ფრიგიიდან, ვიდრე ეფრატის მდინარემდე იყო 1800 სტადიონი (3) და სივრცე შავის ზღვიდან ვიდრე კილიკიის მთებამდე 3,000 (4).


I. კაზადოკია ხმელეთისა იყო უწყლო ადგილი, ცხელი, მოუსავლიანი და უჩაყოფო. სამზღვრის ნაპირებსა მოუდიოდნენ მდინარენი ქალისისა და ეფრატისა

(1) სტრაბონი წიგნი XII, § 1; პლინი წიგნი VI, თავი 19.

(2) გ. ლეროდოც. წიგნი III, § 90, 94.

(3) სტადიონი 569 ფუტია, ფუტი არის ებრის საყენის მეჭვიდედი ნაწილი.

(4) სტრაბ. წ. 12, § 4.





და ოცნი სსკა მდინარენი ჭრწყაშდენ მცირეს სამხრეთის
 ნაწილსა, რომელ არიან მდინარე პირაძისა (აწ ჯეიხუნი),
 ჭქონდა წიადი ღრმა და ნავით სავლელი, მდინარე სა-
 რასისა (აწ სარანსუ). ამათ გარდა ჭქონდა
 რამთონიქე წყაროები, რომელნიც ურთვიდენ მარცხით
 სავსეთა ტბათა. ამ მდინარებსა და წყაროებს სათავე ჭქონ-
 დათ მთებში, მთები სტიდიისა მოსცვიდენ ჩრდილოეთის
 მხარესა და ტავრისა სამხრეთის ადგილებსა.

ხმელეთი-გაზადოკია სტრახობნის დროს განიყოფე-
 ბოდა ათ სამოურავოდ: ხუთნი მდებარებდენ ჩრდილოე-
 თის კერძოდ, ე. ი., ლავინიასენი (აწ არაბგირი), საჩ-
 გარასენი (აწ სივა), საჩავენი (აწ ვიშერი), შამანენი და
 მოჩიძენი (აწ უსკეთი); და დანარჩენნი ხუთნი სამხრე-
 თის კერძოდ: მელიტონა (აწ მალატა ეურატის პირზედ)
 კატარონა (აწ ალადელი), ვილიკია (აწინდელნი თემნი: იჭი-
 ლი, ტარსუ, ადანი და მარაში), თიანეთი (აწცა თიანეთი)
 და გოჩხაურეთი (აწ აკსურაია). მელიტონე იყო ნაყო-
 ფიერი ადგილი, რადგანაც ეურატის მდინარე ჭრწყავდა,
 სავსე ხესილითა და ყურძნითა. აქაური ღვინო ჩინებული იყო
 მთელსა საბერძნეთში. ამ თემის ქალაქი მელიტონე იყო
 აშენებული, რომელც მოუთხრობს ძველი თქმულება,



3151
 1200
 6351

სურეთის შეფის სემინარიისგან. კატონის იყო მთებთა შორის დაბლობი და ვრცელი ადგილი, მთებში იზოკებოდნენ ვიწრო ხეობანი. ერთს ამისთანა ვიწრო ხეობაში მდებარეობდა ქალაქი კომანა, სადაცა აშენებული იყო ხელაზნის ტაძარი, რომელსაც აქაურნი მოსახლენი უწოდებდნენ შად. ქალაქი იყო ძალიან ვრცელი და მოშენებული. მუნებურნი მოსახლენი განიყოფებოდნენ ქურუმებად და მონებად; მონები ემსახურებოდნენ ტაძარსა, რომლისა ქურუმთ-მთავრად ნიანდაგ იყო თვით მეფე კაზადოკისა. თიანეთი იყო მთიანი ადგილი, სადაც ვიწრო მთებში გზა გავიდოდა კილიკიად. თიანი (ან ნიგდე) იყო დედა ქალაქი ამ თემობისა, ძალიან მაგარი, მოზღუდვილი ქვითგირის ზღუდითა და დაფუძნებული ქვაყრილზედ. ამ ქალაქის ახლოს, მთის თხემზედ იყო აშენებული ტაძარი სახელსა ზედა: დიანა (ღმერთა ჰერმისა). დედა ქალაქი ხმელეთის კაზადოკისა იყო მანაკა (ან კესარია) აღშენებული არგოსის (ან ერჯიშის) მთის კალთაზედ და მდებარე მზის გულზედ, უწყლო მოუზღუდავი და უჩაყოფო. (1).

(1) სტრაბონი წიგნი 12. § 3.



შკვიდრი მოსახლე ხალხი კაპადოკიაში იყო უფრო და კელური, განუხსნელი გონებითა და უმეტესი ხელოვნებისა, არ ჭქონდათ არცა წიგნი, არცა წერილი, თუძცა ჭსტხოვრებდნენ საშუალ განათლებულთა ერთა შორის, ერთის მხრით ბეძქენტა და მეორეს მხრით ასურელთა. წინაპირველად ჭმონებდნენ ასურელთა, მერმე მიდიელთა, და მიდიელთა შემდგომ სზარსთა. სზარსთა მეფემან დარდოს, ხუთასის წლის წინათ ქრისტეს შობისა, დაიბურა კაპადოკია და განჭყო რა საერისთოდ ან სასზარსპეტოდ (სატრავია ბეძქენტა). პირველი სასზარსპეტო იყო ხმელეთისა, ან დიდი კაპადოკია და მეორე კაპადოკია ზღვის ნაპირისა, ან მცირე. რომესაც სზარსთა სამეფო შემცირდა, მაშინ კაპადოკიის ერისთავთა მიიღეს ხარისხი მეფობისა. მეფე არჩარტ II იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა, რომელიც განიძო სამეფოთგან 322 წელსა ქრისტეს უწინ. ამისმა შვილმან არჩარტ III, რომესთა მეფის შეწევნითა, დაიბურა სამეკვიდრო თვისი და შერთო თავის შვილსა არჩარტ IV ქალი თელს ანტიოხიის მეფისა; არჩარტ VIII ჭსტხოვრებდა დროსა მეფობისა დიდისა მიტრიდატსა VII, რომელმანც მოჭკლა იგი და დაიბურა მისი საბრძანებელი. რომის იმპერატორმან ტიბერემ



მოსპო კაპადოკიაში მეფობა 17 წელს შემდგომ ქრისტეს შობისა (1)

შემდგომ განყოფილის წამის საბრძანებელისა რაჲდ, კაპადოკია დაწნა მონებს ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. პირველს საუკუნეში ქრისტეს შობიდან ხმელეთის კაპადოკიაში იყვნენ მრავალნი ქრისტიანნი, და მესამე და მეოთხე საუკუნეში აქ არ იზოგებოდა არც ერთი კრძთ-მსახური. ამ დროს კაპადოკიაში იყო რამდენა ათი საეპისკოპოსო საუდაჩი ან ეპარხია: კესარიისა, ნისისა, თერმისა, ტიანისა, ტიბისტრისა, ნაზიანზისა, მელიტინესა, კომანისა და სხვანი (2). ჩინებულნი მღვდელ-მთავარნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმინდა გრიგოლ თაუმატურგი, წმინდა ვასილი კესარიელი; წმინდა მაკრინე და მისი, წმინდა გრიგოლ ნისელი და სხვანი მრავალნი სასულ-განთქმულნი და ჩინებულნი მწერალნი.

თუმატა ეპარხიები მრავალი იყო ხმელეთის კაპადოკიაში, გარნა ხალხს არა ჰქონდა წერილი, არც ნათარგმნი

(1) ვალიანის ისტორია კაპადოკიისა, სენმარტენის სკატიები სამოგადო ისტორიულს ლექსიკონში ფრანციუსს ენაზედ, გამოც. 1811—1852; სტრაბონი წიგნი 12, §. 3.

(2) ტექსის აღწერა ოსმალისი ან ბერძენი აზიისა ფრანც.



სამღვთო წიგნები, თვით სამღვთო მსახურებს აღსრულებდნენ ეკლესიებში ბერძნულ ენაზე, მღვდელნიცა თითქმის უმეტესნი იყვნენ ხალხის ენისა. ამ გვარდ ხალხის დაბრძობა და უკიდობა ქრისტიანობის სწავლისა იყო მიზანი, რომელ 1192 წელსა, ოდესაც ოსმალთა დაიპყრეს მცირე აზია და დაარსეს იკონიის ქალაქს მეუობა ხალხმა ადგილად და ძალის დაუტანებლად მიიღო მაცმადის სარწმუნოება და დაივიწყა თავისი ენა.

ორსავე კაზანდოკიაში მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ ერთისა ნათესავისა და ღაპარაკობდნენ ერთსა და იგივე ენაზედ. დასამტკიცებლად ამისა გვაქვს ჩვენ შიგნითი უწყება სტრაბონისა (1), რომელიც მეთორმეტეს წიგნის დასაბამში დაწმუნებით ამბობს: „სახელი კაზანდოკიელი ეკუთვნის სრულებით ერთს ხალხსა, რომელიც არიან ერთ ნათესავნი და ღაპარაკობენ ერთს ენაზედ და სახლობენ შემდგომთა საზღვართა შორის: სამხრეთით მთა კილიკიის ტავრი, აღმოსავლეთით სომხითი, კოლხიდა, და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოღაპარაკენი

(1) სტრაბონი წიგნი 12. § 1. გამოცემული ფრანგიულად 1814. აგრეთვე ტარდიეს ნათარგმნი გამოცემული პარიზში 1873 წელსა.



უცხოეს ენაზედ; ჩრდილოეთით ზონტოს ზღვა, შესართ-
ვადმდე ჭაღიზის მდინარისა, დასავლეთით ზაფლავონია,
გალატია, ფრიგია და ლიკარნია.

მეორე წ სტრახონი კიდევ განიმეორებს წინათ ქმულსა. ამ
გვარს ღივს შესანიშნველს ჩვენებას ჩვენ არ დავიჯერებდით,
თუ გვეცოდნოდა, რომ ამას სტრახონი ამბობს გაგონებით-
ვითარცა მრავალნი უწიებანი დეროდოტისა. სტრახონს
თვითონ გამოვჭყევეართ ამ გვარს ეჭვისაგან, რომდესაც
მოგვითხრობს, რომ მისი სამშობლო ქვეყანა იყო კაზა-
დოკია, დაიბადა ქალაქსა ამასიას მდებარესა ირისეს
მდინარეზედ ზონტოში, დედა ჭყვანდა ნათესავით ჭანი
და ქალი ჩინებულის ერისთავისა, რომელიც ზატივცემუ-
ლი და მიჩნეული იყო დიდის მიტრიდატისაგან ზონ-
ტოს მეფისა. თავის სამშობლო ქვეყანას სტრახონი გა-
გონებით არ იცნობდა, და როგორც გვაუწყებს, თითონ
მოკვლელ მთელი კაზადოკია და არ გაგონებით აღეწერა
არამედ რაც თავისის თვალით ენახა და გამოეძია. რა-
საკვირველია უწიება ამისთანა მწერლისა არ იქნება ტყუილი
და დაუჯერებელი; ამის გარდა ზღინიცა გვარწმუნებს, რომ-
ელიც კაზადოკია იყო ერთი და განუყოფელი ქვეყანა (1).

(1) წიგნი 6, თავი 3



მეორე, - მრავალი სახელები ადგილთა, მთათა, ქალაქთა
 მდინარეთა, მდებარეთა ხმელეთის კანადლიკაში, როგორც
 ჰსჩანს ვიზარტის ქარტისაგან, მცირის აზიისა, აწცა არიან
 ქართულნი მაცალითად: თუმი თიანეთისა და ქალაქი თია-
 ნი (აწ ნილდე) ქართულად ჰნიშნავს მთებანს ადგილს
 და თვით საქართველოშიაც არის თუმი თიანეთისა (1);
 ჩხორუმი, დაბა მდებარე მახლობელ ამასიის ქა-
 ლაქისა; თავია, დაბა მდებარე ჩრდილოეთით კიშე-
 რის ქალაქისა; მუყური, დაბა მდებარე სამხრეთით
 კაშერის ქალაქისა; თამარქე, დაბა მახლობელ ქალაქისა
 კესარიისა; მუყური, დაბა მახლობელ კესარიის ქალაქისა
 ურგუბა (ორგუბე ურდა), მახლობელ აგრეთვე კესარიის
 ქალაქისა; სარმურ-სახლა, აგრეთვე დაბა მუხვე; ჭიჭაკის
 მთა მახლობელ კაშერის ქალაქისა; ერჯიში მთა, მახ-
 ლობელ კესარიის; ბოცოს მთა კილიკიაში; თეჯირის მთა,
 მახლობელ სივას ქალაქისა; ხტმურის მთა, მახ-
 ლობელ მილეტინის ქალაქისა; გაცურის მთა, მუ-
 რაშინის ქალაქის დაბლა; ჭილბის მთა; ჩხატალი;
 ორთაუვის მთა, მახლობელ ნილდის ქალაქისა;
 ფარხლა, მახლობელ საროს მდინარისა; დედა მთა,
 მახლობელ საროს მდინარისა. ხაჯი ხალფა, ლეოღრ:ფიის

(1) სტრაბონი წიგნი 12 § 9; ტექსტის აღწერა უც-
 რეს მთის, გვ. 567.




მწერალი, მუსუღმანი მოიხსენებს რამთონთაჲ ადგილთა, რომელიც ქართულია, მაგალ. ქუთაისა, გომიში (კამბეჩი მეგრულად), ჭალა, ტაზისკარი (ტაშისკარი); თავ-შანი, მენდერი (მდინარე), ხანა, ენგური, კარბაზარი, და სხვანი. ¹⁾

ამათ გარდა მრავალნი ადგილები, მდინარეები და ქალაქნი ზათულაგონიანში ან სხვათა ადგილთა იწოდებიან აქამომდე ქართულის სახელებითა მაგალ. ენგური, ერთი ტოტი ზაგარის მდინარისა, ქალაქი ენგური (ძველი უნგური); მენდერხანი, ბერძნულად მენდერი ე. ი. მდინარე, ქალაქი ჩიხივი, მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედა, თემუს ე. ი. თემი მიზიაში და სხვანი მრავალნი.

მესამე-ზნე, ჩვეულობა, ყოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება და თვით მმართველობაცა, აგრეთვე ცეცხლის მსახურება ჭეონდათ კაპადოკიის ხალხთა სრულიად მსგავსი ძველისა წესისა, ჩვეულობისა, ყოფა-ქცევისა და სხ. ძველთა ქართველთა ⁽²⁾. მეოთხე,--რადგანაც კაპადოკიის ხალხსა ჭეონ-

(¹) ნახე ვიგიენ ს. პარტჩის ლეონტოპოლი აღწერა ქართლის მიხისა, გვერდი 188 და შემდგომნი.

(²) სტრაბონი წიგნი XV, გვერდი 733.




და მონათესაობა საქართველოს ხალხთან, ამით განი-
 შა სტუმრის სურვილი კაზანდოკის სუფიერთა ძამათ დამუ-
 რება საქართველოში ქრისტიანობის საწმენკებისა. მო-
 სულნი ამ აზრით ირანე ზედმხელი თორმეტის მოწა-
 თეებითურთ, რომელთაც სასულები არიან: დავით გარეს-
 ჟელი, სტეფანე სირსელი, იოსებ ალაკერდელი, ზენონ
 იულოთელი, ანტონი მარტყოფელი, იასე წიფხელი,
 თათე სტეფან-წმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამ-
 თაგნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ უღუმბელი, ბიროს
 ბრეთელი და ილია დიაკონი არ იუკნენ მესობოტამიელნი,
 არამედ კაზანდოკიელნი, ამიტომ რომ ძველნი მწერალნი
 კაზანდოკიელთა რაცსამდნენ სირიელად, ან მესობოტამიე-
 ლად (1). თუ ქართული ენა არ გაცოდნოდათ ამ წმინ-
 დანებს საქართველოში ვერ გაბედავდნენ მოსვლასა და
 ვერც მოიმწათებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ რომ
 წმინდა გიორგი იყო კაზანდოკიელი და ამის გამო მთელს
 საქართველოში ძალიან პატივცემულია. ამ წმინდა გიორ-
 გის მონათესავე იყო წმინდა მარტიველთ-სწორი ნინო
 აგრეთვე კაზანდოკიელი და მცოდნე ქართულის ენისა,

(1) ტიქსი, მცირე აზია, გვერდ. 500.

უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართულთა. უდაბნოში ცხოვრება წმინდათა სულიერთა მამათა კახადოკიაში იყო ძალიან გავრცელებული, რადგანაც კლდეებში მრავალი იყო გამოკაფული ქვებები და სანჯომი სასლები, როგორც საქართველოში უფლის-ცისე და სხვანი. ამ ქვებში ჭსცხოვრებდნენ მეუდაბნოვენი, რომელთაგანცა ჩინებულნი იყვნენ სვიმეონ დიდი მესვეტი (390—460); სვიმეონ მცირე აგრეთვე მესვეტი (521—592). ეს სვიმეონ მცირე იყო მიწეზი საქართველოში გამოგზავნისა წმინდისა იოანე ზედაძნელისა მოწაფეებითურთ. ხსენებულთა წმინდათა განავრცელებს და დაამყარეს შერეული ცცალ-მსახურთაგან ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში, რადგანაც თვით იყვნენ ქართველნი. ამით შემოიღეს წელთ აღრიცხვა იულიანისა, რომის კეისრისა და ახალის წლის დაწეება იანვრიდგან, რომელიც დაწინაღობილია აქამომდე.


II. კახადოკია შავის ზღვის პირისა განიყოფებოდა ორ თემად: პირველი თუმი შეადგენდა პონტოს სამეფოს, მეორე კოლხიდას.

ა. პონტოს სამეფო იყო ადგილი წყლიანი, ტყიანი, მდიდარი ნყოფებითა და მადნებითა. დასავლეთის



სამხლეკის პირზედ მოუდიოდა მდინარე ჭალისისა და
 ალაზონისა (აწ კიზილ—ერმაკი), ძალიან ვრცელი და-
 დიდი, რომელსაც სათავე ჭქონდა მასლახელ ნიკოპო-
 ლის ქალაქისა. გემის მთებში; ჭრწყავდა სრულიად კაპა-
 დოკიასა და ერთვიდა შავს ზღვაში მასლახელ ბათი-
 რის ქალაქისა. მდინარე ესე ღირსია შესანიშნავად, მის
 თვის რომ ძველს დროში განჭყოფდა მცირის აზიის
 მკვიდრთა მოსახლეთა ორად: მარცხენა ნაპირი ეჭირა
 ხალხთა, რომელნიც ნათესავებით ეკუთნებოდნენ ბერძენ-
 თა, გარნა მარჯვენა ერთთა, რომელნიც ნათესავებით იყუ-
 ნენ აზიის ხალხნი ე. ი. ჭანულები (1). სხვანი მდინარენი
 ზღვის კაპადოკიისა არიან: ირისე ან ირისე (აწ ეშილეერ-
 მაკი), რომლისაც ერთსა ტოტსა სახელად ჭქვიან ტუბამი
 და მეორესა ლიკუს (მგელი); გემრიელი წყალი (ქარტა-
 ზედ გარკვენილად ჭწერია გემრიელი ჩაი); თერმადონი
 (აწ თერმეს წყალი); ფსისრონი (აწ კოლოპოტამო), რომ-
 ელიც ერთის ზღვასა მასლახელ რიზა ქალაქისა. სამ-
 ხრეთი მხარე პონტოსი იყო მთებანი და სეკუბიანი: ბალ-
 ხარის მთები, რომელნიც მღებანებენ პონტოსსა და სქარ-

(1) ვ. გიორგის სემარტენი. მცირე აზია II ტომი, 386 გვ.



თველს სამსლვარსედ, აწ გურჯი ბოლახი ან სამსლვარსედ
ველს ველი. ამ მთებს შეუდგებიან მთები ნაჭილობევი-
სა, ან, ძველთა მწერაღთა, სტიდის მთები; ერთი ნაწილი
ნაჭილობევის მთებისა იწოდებიან გუაურად და გომიშად
(კამბეჩოვანად). გომიშის მთები მდიდარია ვერცხლის მად-
ნებითა. ზღვის პირსედ მდებარებდნენ მრავალნი ქალაქნი
მდიდარნი ვაჭრობითა და სიმდიდრითა: ამიზუსი (აწ
სამსუნნი); თემისციქა (აწ თერძე); ურია (აწ ორის ქალაქი);
გოტიორა (აწ ორდუ); ფარნაკი (აწ კერასუნი); ტრაპე-
ზონი, დიზა (აწ სურმენა); ოფიზი, ჩიზე, ატენი. ხმელ-
ზედ: ამასია, მდებარე ირისეს მდინარესედ, სამშობლო
ადგილი სტრახონისა; გაზიურა, ძველი დედა-ქალაქი
ზღვის კაზადოკიისა, მდებარებდა თერმადონის მდინარის
ნაპირსედ; ელმანა, ზელა, სატალა (სათალი) და
სხვანი.

მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ პონტოს
სამეფოს ზღვის ნაპირსედ, მილეტის ქალაქის მოსახ-
ლეთა დაათუენეს სავაჭრო ქალაქება, რომელთაგანც
უპირველესი იყო სინოპი, ამიზუსი, გოტიორა, ტრაპე-
ზუნტი და ჭქონდათ აქ ალებ-მიცემა და სარგოიანი ვაჭ-
რობა მეზობელთა ხალხთათანა. სხენებულთ ქალაქებსა ჭქონ-
დათ თავიანთი მმართველობა და არ ემონებოდენ სპარს-
თა მეფეთა. მასინ რომდესაც პონტოსა და კოლხიდის



მოსახლენი იყვნენ დამონებული სპარსთაგან, შეადგენდნენ
ორს სასპასპეტოს (სატრაპიას) XVIII და XIX (1) და
სპარსთა მეფისა ქსერქსის დროს მიიღებდნენ მონაწილე-
ობას ბრძოლაში პირის პირ ბერძენთა და განიყოებოდ-
ნენ ოთხ გუნდად: პირველსა გუნდას, მთავრობასა ქვეშე
აჩიობარზანისა დროს მეფის ძისა, შეადგენდნენ ერნი
მესხნი და ტიბარენნი; მეორესა, — მთავრობასა ქვეშე არტა-
ვისა, — მოსენაყნი; მესამესა — მთავრობასა ქვეშე ფარანდა-
ტისა, მარნი და კოლხელნი და მეოთხესა, — მთავრობასა
ქვეშე მისისტისა, — ლარსადიანელნი და ისპირელნი. (2)
ამითი ჭხანს რომ პონტოს სამეფოში და კოლხიდაში
იყვნენ რამთონნიმე მთავარნი და ქსენოფონტის დროს
რომელამე მათთაგანი იწოდებოდნენ მეფელა ვითარ-
ცა მთავარი მოსინაკთა. ვაღიანი თავის პონტოს ისტორია-
ში მოუთხრობს, რომელ პირველი მეფე პონტოსა იყო
არტაბაზი, დადგინებული დროს სპარსთა მეფისაგან.
ამისი მეკვიდრე 402 წლის ქრისტეს წინათ იხილება
მიტრიდატ I, რომელიც განაგებდა სამეფოსა დროსა
სპარსთა მეფის არტაქსერსისა, ამისი შვილი მიტრიდატი
II სასულ წოდებულ ალმაშენებლად იყო თანა მედროვე
ალექსანდრე მაკედონიელისა; მიტრიდატი II-ის შვილმა მიტ-

(1) ლეროდოცის ისტ. წიგნი 3, § 90.


(2) ლეროდოცის წიგნი 7 § 76, 77, 78, 80.



რედატმა III გამარჯვება ლისიმახსკედ, რომელსაც იგი
 მკვედონიის მეფე 384 წელს და დასდო გამარჯვების წე-
 ლიწადი დასაბამად წელთა აღრიცხვისა ანუ ერად (1), რომ-
 ძელიც იყო მიღებული რომელიც ბოსფორის სამეფოში
 ისე გადახიდაში და საქართველოში.

ღირსია შესანიშნავად რომ აქედამ იწყებინ ჩვენი
 ქრონიკებიცა, რადგანაც იმ დროს ძთელი კლე-
 ნიდა დამონებული იყო ზენტოს მეფეთაგან და ქქენ-
 დათ ერთმანეთში დიდი ერთობა. აქამდე სწავ-
 ლულთა და სიმკვლის გამოძეძიებლთა არ იცო-
 ჳნენ სწორეთ, რომლის წლიდამ იწყებოდა ვინ ან
 დასაბამა წელთა აღრიცხვისა ზენტოს სამეფოში.
 ზოგი 3 ცდებს 8, ზოგი 10, ზოგი 12 წლითა.
 მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღვრიცხე ძე-
 შინ აღმოჩნდა, რომ დასაბამი ჩვენისა და ზენტოს ერასი
 არის 284 წელი ქრისტეს წინათ. ვინ არ იცის რომ
 ჩვენს ქრონიკონსა როგორც რომ ეკლესიის კინკლოსსა
 აქვს საცდელი 532 წელიწადი. ეს არიცივი შესდგება
 განმჩავლებისაგან 28x19. რიცხვი 28 შედგენს
 წელთა მზის მოქცევისათა და 19—ძთოვარისათა
 532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღენი,
 ძთოვარის განახლება, დიდ მარხვის აღების დღე, პა-
 სქის დღე და შემდგომი ცვლადნი დღესასწაუ-


(1) ნახეთ სპოროვადო ბიოგრაფიის ლექსიკონი (52 ტომი
 გამოცემული პარიჟში 1811—1852) სტავრა სენ-
 პარტენის მიტროპოლიტ III.



517


ღნი, კვირაცხ ადრება, ამაღლება და სხვანი ანგა-
 რაშნი თვითთუელის წლისა, იმავე შვიდრულს დღეს,
 448 თვისა რიცხვს და თვეს მოვლენ, როგორც რომ 532
 წლას წინათ იყო. მაგალითად ჩვენი სუთასეული ქრო-
 ნიკონი დასრულდა 1844 წელსა, ასე რომ 1845 წლი-
 დამ იწყო ახალმან სუთასეულმან ქრონიკონმან. 1844
 წელსა შასქა იყო აპრილას 15. ამწლიდამ რომ გამო-
 სვიდეთ 532 წელი, დაჩხება 1312 წელიწადი, ამ წე-
 ლიწადს შასქა იყო აგრეთვე 15 აპრილსა. ქრონიკონი ან
 დიდი ინდიკტიონი შემოიღო მდგდელმონაზონმა დი-
 ონისიმ 516 წელსა ქრისტეს შემდგომ მოსაზოვნელად
 თუ რომელს თვესა და რომელს რიცხვში დადგება შას-
 ქა. ამ უძაღმდე, ე. ი. 516 წლიდან ამ გვრი აღრიც-
 ხვა არსად იყო და რა საკვირველია არც საქართველოში
 იქნებოდა. საქართველოში, როგორცა ჭხანს, აღრიც-
 ხვა უწყვიანთ 781 წლიდამ ქრისტეს შემდგომ.
 მაშასადამე სუთასეული ქრონიკონი გათავებულა 780
 და ახალი დამდგარა 781 წელსა. 780 წელს რომ
 დავროთ 284 წელი, მაშინ შეიქმს 4064 წელსა
 ან რას სრულს ქრონიკონსა. თუმცა 781 წელს
 შემოუღიათ ქრონიკონი, გარნა რიცხვი წელსა
 დასაბაძისა დაუღვიანთ პოხტოს ერს ახუ დასაბაძი
 წელთა აღრიცხვისა, რომელსცა როგორცა ჭხანს
 შემო გამორიცხვისაგან, ჭქონია დასაბაძი 284
 წელსა ქრისტეს წინათ. ისტორიაც ეთახნებება ამას.
 1844 შესრულდა სუთასიანი ქრონიკონი და 1845
 იწყო ახალმა ქრონიკონმა. ამ 1844 რომ დაუ-
 ძალოთ 284 წელი შეიქნება 2128 წელი. 2128

FS 4288



წელი რომ გავეყოთ 532, დაშთება კერძობითი
წიტყვი უნაკლოდ 4; ეს ამას ნიშნავს რომ
ათსჯერ ხუთასეული ქრონიკონი შესრულდა 1844
წელსა და 1845 წელს იწყო მესხეთ ხუთასეულმა
ქრონიკონმა.

183 წელსა ქრისტეს წინათ ფარნაკ პონტოს მე-
ოქმან დაიპყრა სინოპი და სხვანი ქალაქები პონტოს
ზღვის პირისა; ამ ქალაქების დაპყრობითა პონტოს სა-
მეფომ მოიპოვა დიდი ძალი და ძლიერება როგორც
ხმელეთზედ ისე ზღვაში და შეძლება პირის პირ ბრძო-
ლისა რომაელებთან. თუმცა მიტრიდატ VI ექმნა თანა შემწე
რომაელთა ბრძოლათა პირის პირ დანიბაღისა და გარ-
ჯასათვის ჯილდოდ მიიღო დიდი ნაწილი ფრიგიისა,
გარნა შეიღი მისი მიტრიდატი VII იყო დაუძინებელი
მტერი რომაელთა და ებრძოდა მათ დიდხანს. 123 წელ-
სა ქრისტეს შემდგომ მიტრიდატი VII ადვიდა ტანტ-
ზედ, ყმა თორმეტის წლისა, ბუნებით ახლავანი, ბრტე
და შემძრთებელი, თავი დაუდო სწავლასა და განათლე-
ბასა, ამას გარდა სიურმითვე შეითვისა საომარი ზნე და
ჩვეულება, ჭქონდა საკვირველი მესხიერება, იცოდა 22
ენა, გულში ჭქონდა თავის მამულის განდიდება და ამისა-
თვის არა ჭრიდებდა არცა თავსა, არცა წარჩინებულთა
და მოყვარეთა. წინაპირველად განიზრახა მოხილვა მო-
სამზღვრეთა ადგილთა და სამეფოთა, ამისთვის შეუდგა
გზასა, ორას მახლობლის კაცითა, სრულად უცნაურად,



დაჭურძო მრგვა-ურთბანში ოთხიოდ წელიწადი, თავლით განი-
 ხილთ მდგომარეობა მცირის აზიისა. შინ რომ დაბრუნდა,
 მაშინვე მოაგროვებ ძალი, შევიდა კოლხიდაში, დაიპყრო
 აწინდელი აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხა-
 ზეთი და სრულიად ბოსფორის სამეფო, ე. ი. ყირიმია.
 შემდგომად აღძრა შოგოთი კახანდოვანში, მოაკვლევინა მუ-
 ნებური მეფე და მის ადგილს დასვა თავისი შვილი არიანტ
 VIII. ეს იყო მიწვენი პირველის ბრძოლისა რომაელთათანა.
 მიტრიდატმა მოიწოთა დიდი ძალი, როგორც სმელეთისა
 ისე ზღვისა, დაიმონია სრულიად მცირე აზია და წაართო
 რომაელთა თრაკია და ატენი. რა ესმა რომის რესპუბლიკას
 განძლიერება მიტრიდატისა. მაშინვე მოაგროვებ დიდი
 ძალი, უზინა შესდართ მთავრად სილვას და გაისტუმრა
 დიდის მიტრიდატის საბრძოლველად. სჯულამ ძახლობელ
 ხერონისა დაამარცხა მიტრიდატის ჯარი, დაიპყრო საბე-
 რძეთი და გადრტანა ომი მცირეს აზიაში, დაიმონია
 იონია, მიზია და ლიდია. უღონო ქმნილმან დიდმან მი-
 ტრიდატმან ითხოვა ზავი და 85 წლის ქრისტეს წინათ
 შეკვრა პირლობითა რომის რესპუბლიკას. ამდროს მიტ-
 რიდატს განუდგნენ ბოსფორელები; მიდრიდატმა იწყო
 მზადება და მოკრეფა ჯარისა ბოსფორის დასამონებლად,
 რომაელთა ჭკონეს რომელ მიტრიდატი ემზადება ბრძო-
 ლის განახლებისათვის მათზედ, ამისთვის უბძანეს მერე-
 ნას უცუბ მისულა საომრად მიტრიდატზედ. მიტრიდატმა



არჩევალ დამარცხდა მეტყუნა 82 წელსა ქრისტეს წინათ და
 შეკერა რომელთა სხალის ზავითა. 79 წელსა კვალად
 დამონია ბოსფორის სამეფო, სადაც დასვა მეფედ თავი-
 სი შვილი მხარა (ქართული სახელი). ხმელეთის კავა-
 დოკია კვალად იქმნა მიზეზი მესამის ომისა შორის მი-
 ტრიდატისა და რომის რესპუბლიკისა. პირველს უამს მი-
 ტრიდატმა დაიმონია ვაფლავანია, ვიფინია და მოადგა
 ქალაქსა ქაზიუს, ძღუებარესა მარმარილოს ზღვას ნაპირს.
 ამ ქალაქის მახლობლად ლუგუღმა, მხედართ მძევანმა
 რომელთა, დამარცხდა პონტოს მეფე, რომელიც განივლტო-
 სომხითს, იქაც დამარცხდა პომპეისაგან და დანარჩენის ძა-
 ლითა შეივლტო კოლხიდას, იქილამ გადავიდა ბოსფორ-
 სს, ე. ი. უირიძსა, სადაც მოიხება ჯარის მოკრეფა და
 განახლება ომისა რომელთა თანა. მისმა შვილმა შეიტყო
 ეს აზრი, მოიბირნა მხედართ მთავარი და წინააღუდგა
 მამს. მიტრიდატმა, სა ჰქონდა შვილის დაღატი, თავი მო-
 იწამლა და გადაცვალა 64 წელსა ქრისტეს უწინ. გრამი
 მისი შვილმა გაუგზავნა პომპეის, რომელმან დიდის პა-
 ტიკით მიასარა მიწას ტაძარსა სინოპის ქალაქში, სადაც
 იყვნენ დამარხულნი წინაპარნი მიტრიდატისა.

დროს მეფობისა რომის იმპერატორისა ნერონისა
 პონტოს სამეფო შეიქმნა რომის თემად და ვიდრე 1204
 წლამდინ ქრისტეს შემდგომ იყო მონებას ქვეშე ვიზანტიის
 იმპერატორთა. სსქებულს წელიწადს თამარ მეფის შე-



წინით აღეჭრა გომენმა დაიჭრა ტრაპეზუნდისა და იწოდდა იმპერატორად ტრაპეზუნისა; სიგლებში ტრაპეზუნდის იმპერატორნი მრავალჯერ იწოდებიან იმპერატორად ივერთა და ჭანთა. ეს იმპერია არსებობდა 1461 წლამდინ; ამ წელიწადს ოსმალთა დაიპყრეს ეს იმპერია და ჰქმნეს საჟაშოდ (1)

ბ. გოლხიდა მდებარეობდა აღმოსავლეთის და სამხრეთის შავის ზღვის პარსედ; ასე რომ ძველ დროში მთელი პონტოს სამეფო იყო ცნობილი სასელსა ქვეშ გოლხიდა (2), სტრაბონის დროს გოლხიდა ეწოდებოდა იმ ადგილებს, რომელნიც იწებოდნენ ფსინრონის მდინარის (ან გოლფსატამო) შესართავიდან ზღვაში, ვიდრე ოლდიჩის მდინარის შესართავამდე, სადაც მდებარეობდა ჩინებულთა ალექსანდრიის ქალაქი დიოსკურია (ან იზგაურა (3). გოლხიდა გარემოცული იყო კავკასიის მთებითა (ქართულად ღაღა), რომლისაგან ერთი მთავალი სამხრეთისაკენ კალთა (ღიხას მთები) გაჭყდოვს იმერეთსა

(1) უწყება ტრაპეზუნის იმპერიის დაარსებისა სტრატია აგადემიის კუნიკისა და ძველი უწყებათა შორის ს. პ. სიმეონიერი აგადემიისა, 1855, 733.

(2) ქსენოფონი IV და V წიგნი.

(3) სტრაბონის წიგნი XI თავი I; პლინი წიგნი VI; არიენის აღწერა შავი ზღვის ნაპირებისა გამოცემული გოუბანსიგან ლათინურად, გვერდი 55.



და ქართლსა. ერთი კალთა ამ მთისა მივა მტკვრის შარამ-
დინ და იცნობება ძველთაგან მოსხის მთად, ე. ი. სამცხის
მთად ან აჭარისა (აწ სოღანლუხის მთები და კარგა-ბა-
ზარი); მეორე კალთა მტკვრიდამ შირს შუქტეგს
ზღვასა და იწოდებიან ფეხსათის მთად, რომელიც
გაჭყლეთს იმერეთსა და გურისს სამცხისაგან; სხვა კალთა ამ
მთებისა, რომელიც შუქტეგების მტკვარსა, ისახულებოდ-
ნენ ძველთა მწერალთაგან კორაგის მთად (აწ ცინე-ჯვარი);
კორაგის მთებს ზონტოს მხარესკენ შუქტეგების სტიდიას
მთები და მასუკან ნაჭილობევი.

ამ მთების წიაღში ჭქონდათ მრავალთა მდინარეთა
დასაბამი, რომელთაგან დიხსია შესანიშნავად:

ა. ფაზის მდინარე (აწინდელი ჩიონი), ჭქონ-
და სათავე, როგორც გვაუწყებს ზღინი, მოსხის მთე-
ბში (1), სათაუდამ ვიდრე შორაზანამდინ იყო ნავით
უკალი, და შორაზანიდამ ზღვადმდე ნავით საუკლედი. ამ
მდინარეზედ ნავით მიჭქონდათ და მოჭქონდათ სავაჭროები
ვიდრე შორაზანამდე, შორაზანიდამ მტკვრადმდე ხმელის
გზით, და მასუკან მტკვრით კასპიის ზღვამდე, საიდანაც
გაჭქონდათ ინდოეთში და ჩინეთში. როგორც ამ აღწე-

(1) ზღინი წიგნი VI თავი 4. სტრაბონი XI § 6
სტრაბონი ჭქნერს როგორც ფაზისს სათავე აქვსო სომხთში. 2
უაბუთოა, როგორცა ვჭხედვთ აწ დგომების მდებარეობასს



რისაგან ჭსნის, მდინარეს ყვირილას წაცხამდნენ რიონად და რიონსა ყვირილას შესართავადმდე გლაუკად. ფაზისს შეუდიოდნენ მდინარენი: დიპიუს (ცხენის წყალი), ციანა (ტეხურა);

ბ. აბსარა პლინისა, აკამპსისი არიენისა და ბოას პროკოპისა (აწინდელი ჭოროხი). თუმიცა პროკოპიმ ბოას მდინარის სათავე სწორედ აღწერა, გარნა მდინარის სა-კალი არის დაუჭერებელი და უგვანი. აი რას გვაუწყებს პროკოპი: „ბოას აქვს სათავე ჭანეთის მთებში, მარჯვნივ აქვს სამშლვარჩი ივერიისა, სადაც სრულდება კაკვასის მთა. ამ მდინარეს ერთვიან მრავალნი სხვა მდინარენი, დიდება და მიიღებს ფაზის სახელსა; ორ-სავე მხარესა ჭსტროვრებენ ლაზები და მღებარებს ქალაქი შორაპანი (1).“ ფაზის მდინარე მოუდიოდა ლაზისტანსა და არა ივერიას, ბოასის მარჯვნივი ნაპირი, წოგორც ესლაცა ჭიანს, ეჭირათ მესხთა, და ამ მდინარეზედ არ იდო ქალაქი შორაპნისა; ეს რასაკვირველია არის ცთომილება გადაიწერისა და არა პროკოპისა, ამისთვის რომ იმავე წიგნში და თავში განასხვავებს ორსავე მდინარესა, და მოუთხრობს რომ ლაზებმა მოიყვანეს სპარსთა მეფე ხოსრო სამხითით კერძო, განკლეს ბოასის მდინა-

(1) სტრობონის მეციანე ხალხთა გვ. 4 გვ. 45; პროკოპი. ნათარგმნი რუსულად გვ. 288 (წიგნი 2, თავი 29.)



რე. და რა მიაღწოდნენ ჰეტრეს ცისესა (აწ ქვეთა ცი-
 სე ქობულეთში). ჭქონდათ ფაზის მდინარე მარჯვნივ. მა-
 მასადაძე ბოას და ფაზის მდინარეები იყვნენ სხვა და
 სხვა. აგრეთვე მეორეს ადგილში პრეკოპი ამტკიცებს,
 რომელ ფაზის მდინარე სხვა იყო და ბოას მდინარე სხვა:
 უმასობაში მეტროპოლი გაიანა სამზღვარი ივერიისა (ე.
 ი. სურამი) და ჭქონდა ფაზის მდინარე მარჯვნივ მსა-
 რეს“. (1) დიაღ, ქართლიადამ რომ შესვიდა იმერეთში სუ-
 რამის გზით მისასვლელად ჰეტრეს ცისედ, მარჯვნივ და-
 გრჩება ყვირილს (ძველთა მწერალთა ფაზისი). ამითი
 ჭხანს რომ პირველი ჩვენება, როგორც კვსთქვით, გადა-
 წერისაგან არის არეული, მისი შცდომას და არა
 პრეკოპისა, როგორც ამტკიცებენ რანი უკანასკნელი
 ჩვენებანი. (2) პრეკოპის პირველმა უწყებამ შეიყვანა
 რომელნიმე სწავლულნი ცთომილებში, მაგად., პირველი
 დუბოა, რომელიც გვარწმუნებს რომ პრეკოპის ბოასი
 არის ხანის წელი. თუ ეს ასე იყოს, მაშინ ბოასს არ
 ექნება სათავე ჭანეთის მთებში და არცა ამ მდინარეს
 მარჯვნივ მსარეს ექნებოდნენ მოსახლენი ივერიელნი, რო-
 გორც გვარწმუნებს პრეკოპი, არამედ ლაზები; მეორე

(1) პრეკოპი წიგნი 2, თავი 30.

(2) არიენი თავის აღწერაში უკანასკნელს ამ ორთა მდი-
 დარეთ, აგრეთვე პლინი და სხვანი ძველნი მწერნი.




უფ. ემინი (1), რომელიც გვიმტკიცებს, რომელ ფაზისა არის ჭორღნი და არა რიონი და უდის სომხითის ადგილებს. აქ სომხითი ანცე უფილია, რომელცა ჭინანს მთელის მწერლებისაგან, და ანცე აწ არის. ეს ადგილები ეჭირათ და ესლაც უჭირავთ გათათრებულს ქართველებს ანუ მესხთა და სამხლნი უწოდებენ გურჯისტანად. ამ ადგილს, ე. ი. სადაც ჭორღნი მდებარის, ეწოდებოდა კლარჯეთი და კლარჯეთი მდებარე სორენაცის დეოდროფით იყო ივერია და არა სომხითი (2). ამასუდ ამის დაბლა კიდევ ვიტყვი ერთს რას სიტყვას, აქ კმარა ამასუდ ლაზარაკი. უფ. ემინი დაუმატებს წინა თქმულსა, რომ ქსენოფონტი მოიხსენებსა ფაზის მდინარეს, რომელიცა ჭრწყამს სომხითისა (3). ქსენოფონტი მოიხსენებს არა ფაზის მდინარეს, არამედ ფაზსა. ფაზისის მდინარე სხვა არის და ფაზისა სხვა. არეზის სათავეს უწინ და ახლაც უწოდებენ ფაზად ადგილის გამო ფაზიანი ან ბასიანი. კიპარტეს

(1) მოსეს სორენაცის ისტორია რუსულად ნათარგმნი, გვერდი 344.

(2) მოსეს სორენაცის დეოდროფია სენ-მარტენი 2 ტ. გვერდი 357. სომხებს კლარჯეთი ეხარად ვაუკეთებიათ. სომხთაველოს ამავე დეოდროფით ეკუთვნოდა: არჯანია, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა და სხვანი, რომელნიც შეადგებდნენ ჭორღის მხარეს და არა სომხითსა.

(3) წიგნი 4, თავი 6.



ქართველ ახლად ჭიანხ ფაზინ სუ (ე. ი. ფაზინ მდინარე), ეკ არეზია, რომელსაც სათავე აქვს ბასიანის ქვეყანაში.

მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის უკან იმპერატორმა ადრიანმა დანიშნა მმართველად პონტოსეთმისა არჩინი, ამან აღწერა ეს ზღვის ნაპირები და მოუთხრობს, (3) რომელ კოლხიდა იწყების ღიზის მდინარეს შესართავიდან მზღვასში, ამდინარის მარჯვნივ ნაპირებისა ჭსტსოვრებენ მახელანები და გენიონები, რომელთაც მზინი სახელ ჭსდებს ჭანად გენიონად, ამათა ჭყვანდათ მეფე ანხილასუსი (4); სტილასს უწოდებს ამ ადგილს კესეირად (ქართველების ეკლესია და სომხების ეკლესია); ამის შემდგომი მღებარება ზღვის პირზედ ზუდრეთი (აწ ქობულეთი, აჭარა, იმერსევი, შავშეთი და კლარჯეთი), ეკუთვნოდა ივერთა მეფეს ფარსმანს (5); ზუდრეთის შემდგომი იუოლასივა (ე. ი. აწინდელი გურია.) აქ მეფობდა მეფასი.

(3) გვერდი 55 გოთმანისაგან გამოცემული.

(4) ეს ადგილი აწ არის ლახისჯვარი.

(5) ფარსმან III იყო თანა მედროვე რომის იმპერატორის ადრიანისა, იყო რომის ქალაქში, მიიღო დიდა პატივი სსენებულის იმპერატორისაგან და სასუქრად ებოძა 500 აღჭურვილი მსეღარი კაცი და მასცა ნება მსხვერპლის შეწირვისა კანაიჯოლოში. იმპერატორმა აღუმაჩთა ბელონის ჯვარში ცხენოსანი ანდამა. ნახე ბიოგრაფიულს ლექსიკონში სტავია სეს მარტენისა მიტრიდაც III.



ამის უკან იყო ახსილი (აწინდელი სამეგრელო); აუ
მეფობდა იუჯიანოსი; ამას მოსდევდა აბაზგია (აფხა-
ზეთი), მეფეთ იყო რესმაგი, და დასასრულ სანიგარი,
(ჯიქეთი), სადაცა მეფობდა სპადაგას; მეექვსე საუკუნეში
როგორცა ქსეწის სომეხთ ისტორიკოსი მოსე ხორენა-
ცი თავის ქვეყნების აღწერაში კოლხიდა განიყოფებდა
ოთხ თემად: მაგნეგიდი, აკრიუგა, გაზივი და ჭანივი ან
ხასტივი.

უფალი სენ მარტენი (ტ. 2, გვერდი 388, შენიშ-
ნულობა 65), გვაუწყებს, რომელ მაგნეგიდი არის
პტოლომეას მანრალი ან აწინდელი სამეგრელო;
აკრიუგა არის ეგრეკტიკა პომპონიის ძელასი (წიგნი
1, თავი 191) და პტოლომეას (წიგნი 5, თავი 10).
აკრიუგა უფრო არგვეთია, აწინდელი იმერეთი,
ვიდრელა ეგრეკტიკა. ეგრეკტიკა არის სცილასის ეკსი-
ერი (აწ ლაზისტანი); გაზივი (ლაზისტანი, ე. ი.
გურია და ნაწილი იმერეთისა); ჭანივი ან ხაღდა
(აწ ჭანეთი, პონტოს სამეფო).

ძველ დროში კოლხიდა შეადგენდა საქართველოს მხარესა,
განიყოფებდა, როგორც ქსეწის ვახუშტი 5 საერის-
თაოდ: ეგრისი (სამეგრელო), მარგვეთი ან არგვეთი
(იმერეთი), წუნდა და არტაანი (აწ სამცხე); ოძრხე
(გურია); კლარჯეთი (აწ სპერსი ან ისპირის ხეობა და
ტაო). პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის უწინ კოლ-
ხიდა ემორჩილებოდა პონტოს მეფეთა და შექდომ პონ-




ტოს სამეფოს დაცემის იყო აქ სამი დაუმოკიდებულები ერთმან ერთისა სამთავრო: ლაზისტანი, სამცხე და ჭანეთი. მეორე საუკუნეში ლაზებმა დაიპყრეს იმერეთი, სამეგრელო და შეადგინეს სამეფო, რომელიც მესხეთე საუკუნეში, იქმნა შორის ვიზანტიელთა და სპარსთა მიზეზი ბრძოლის 472 წლიდან ვიდრე 562 წლამდინ (1). სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონები, რომელთაც მოსპეს ლაზის მეფობა, დაიმორჩილეს იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და მასუკან ქართლი და კახეთი. ჭანეთი იყო თემი პირველად რომისა და შემდგომ ვიზანტიის იმპერიისა ვიდრე 1202 წლამდე; ამ წელს ალექსი გომენძმა შეწევნითა თამარ მეფისა დაიპყრა ტრაპეზონი და იწოდა მეფედ ივერთა და ჭანთა; ამისი შემკვიდრენი ჭოლობდენ ტრაპეზონში, ვიდრე დაპყრობამდე რამდლთა 1461 წლამდინ.

III. ძველი და ახალი მკვიდრი მოსახლენი პონტოს სამეფოსი, მონათესაობა მათი საქართველოს ერთან და იგივეობა იმათის ენისა.

პირველ უწყებასა ხალხთათვის, რომელნიცა მკვიდრობდნენ პონტოს სამეფოში და კოლხიდას, კვსტნობთ ხვენ ქსენოფონტის წიგნისაგან, ცნობისა სახელსა ქვეშე

(1) მატიანე სტრიჯევისა მეოთხე ცოლი ლაზიკა.



ანაბანის, ე. ი. უკან დაბრუნება ათი ათასისა ბერძენთა მხედართა. ქსენოფონტი ჭსცხვრებდა 400 წლის წინათ ქრისტეს შობისა, გამოიარა მთლად ჯერ კოლხიდის ადგილები და მასუკან ზონტოს სამეფოსი და აღსწერა მკვიდრნი მისასხლენი და ადგილები დაწვლილებით და გასაოცებლის სისწოროთ. შემდგომნი ბერძენთა მწერალნი მხოლოდ განამეორებენ მის უწყებათა; ამისთვის ვინცხე სწიროდ, რაც შეესების ხაზთა ან ამ ადგილების აღწერასა შემოკლებით განვიხილო. ქსენოფონტი მოუთხრობს:

ჩვენ რომ გავიარეთ სთავე ტიგრის მდინარისა, სამის ახმით, მიჰვლით თელუბას (1) მდინარის ნაპირა, სადაცა სასლობენ სომეხნი, უმანი ტირიბანისა, მთავრისა ფაზიანთა და ჭესპერიტთა, (2) რომელიც იდგა აქ თავის მხედრობითა და გვიბირობდა ომსა. ჩვენ რომ დაკუნსლოვდით ბარბაროზთა შექმინდათ და გაიქცენ. ამითი გაგვიადვილდა ჩვენ წინამდებარე გზა, თუმიც სიცივემ და თოვლმა ძალიან შეგვაწუნა, გავვლით ეფრატის მდინარესა და მიჰვლით ფაზის მდინარის ნაპირსა (3),

(1) თელუბოას მდ. ეროთის ეფრატსა, ნახე ტექსტის კარტები.
 (2) ფაზიანი ქართველთა ბასიანი, ჭესპერიტი ქართველთა ისპირის სეობა.
 (3) ფაზის მდ. აქ არქონის მდინარეა, რომელსაც დასაბამი აქვს ბაზიანში და არა ჭოროხსი, მისთვის, რომ ამ მდინარეს რომ გავიდა, შევიდა ცაოს ქვეყანაში, სადაც ჭდის ჭოროხსი.



სუ


სადაცა მრე ვეჭმენით ხაღბითა, ტარელთა და ფა-
 შიანელთა; ამის შეძღვომ შეგუდით ქვეყნასა ტარ-
 ელთ და მასუკან ხაღბითა. ხაღბები არიან შემძა-
 თებელნი და უშიშარნი ომისა, ტანსუდ ატვიათ
 მოკლე გურტაკი, წვივსუდ შაიტები, თავსუდ ჭხუ-
 რავთ ზეხი და საომრად სახმარნი იარაღნი აქვთ:
 ხანჯალი, შუბი და წელსუდ ჭვიდით თოკები (1).
 ხაღბები იყვნენ ჩასაფრებულნი მთებში და ძალიან
 გვაგებდნენ. გავუდით რა ჭარფასის მდინარესა (2)
 მიუდით ქალაქსა ღიმნისს. (3) ამ ქალაქის მოუ-
 რავმან მოგვცა ჩვენ ეტიკი, რომელმან მიგვიყვანა
 ტიხის მთამდე (4); ამ მთის ქედდამ დავინახეთ
 შონტოს ზღვა და შეგვეჭმნა სინარული, რიგინად

(1) როგორც ახლანდელს გურულაქსა.

(2) ჭარფასე არის ისპირი, ერთი ცოცხი ტოროსის მდინა-
 რისა და ამა არაჩი, როგორც ჭგონებს ინგლისის შვერალი
 ანსეგორცი და ვივიენ სენმარტენი, გვ. 321 ცომი I.

(3) ღიმნისს ქალაქი, აწ ჯიმილი და არა ჯინისი, რომ-
 ელიც მდებარებს მასლობელ არზრუმისა, რომორც ჭგო-
 ნებს ანსეგორცი ან ვივიენ სენ მარტენი. ჯერ არზრუმს
 გაიუღიან და მასუკან ტარს ქვეყნაში შევლენ, აქ კი
 წინაუგუდმად არის, ჯერ ტარ გაუვლიათ და მასუკან არზრუმს
 მისუღან. ქსენოფონტს უკეთ ჭტოდნია ეს ადგილები ვიდრე
 განათლებულთ ვგროზაელთა.

(4) ქართული სახელი ტიხა, ტიხის მთა აწ ჭარანტა-
 ში სახე ტექსტის კარტები.



დავსახუქრეთ ჩვენი ეტიკი და გადავდით მაკრონების ქვეყანაში. მაკრონებსა სჭურველად ჭქონდათ: ხის ფარი, შუბი და იუენენ მოსილნი ნაბდებითა. ჩვენს მსედრობაში იყო ერთი მეომარი ნათესავით მაკრონი (1) რომელიც გავგზავნეთ მოსადავანაკებად მაკრონებთან, რომ ჩვენ უვნებელად გაგვიშინ და საგზალი მოგვცენ. მაკრონებმა სინარულით აღსრულეს ჩვენი თხოვნა, მოგვცეს საგზალი და გვიჩვენეს გზა. შეგვიყვანეს კოლხიდაში, რომელიც ძალიან მოძუნებული არის. და დაუახლოვდით ტრახუზუნსა. ტრახუზუნი არის ქალაქი შავის ზღვის პირზედ, აქნებული მოვაჭრეთა ბერძენთაგან კოლხელების ქვეყანაში. ამ ქალაქის მცხოვრებმა კარგათ მიგვიღეს, სულადს ვჭმოულაბდით დროილებისაგან (2) და ვინც უძლური და დაჭრილი იყო ჩაუსნით ნაკებში და გავისტუმრეთ საბერძენეთში, სხვანი, ვისაც ღონე ჭქონდა შეკუდვით გზასა ზღვის ნაპირზედ და მიუვდით კრასუსს, ქალაქსა, რომელიც იყო დაარსებული კოლხიდაში. იქ დავისვენეთ რამთონიძე ხანი; იქი-

Ly

(1) მაკრონები არიან ხანი ან ჭანები. სტრაბონის წიგნი 12. ამითი ჭჩასს რომ ტაოელი, ხალიბნი და ისპირის ხეველნი იუენენ ქართველნი და მაკრონი ჭანნი; მხედარმა იცოდა ჭახური ესა, და აჩიცოდა ქართული, რომელაშა-რავნა ქართველებთან.

(2) დროილები არიან ჭანულები ან ხანები, როგორც ამტკიცებს არჩიენი, გვერდი 54, 55.



დამ გადაკედით მოსინაკთა ქვეყანაში. მოსინაკებს
მაშინ ქქონდათ ერთმანერთში ბრძოლა, ჩვენ უშვე-
ლეთ ერთ მებრძოლსა მხარეს, მრე ვექმნით მო-
პირდაპირეთა. ავიდეთ მათი ტახტის ქალაქი, სა-
დაცა კვბოვეთ მრავალი სანოვაგე. მოსინაკნი არიან
მოქეჩონი, ტანადნი, ბრგენი, იღებენ ტანსა სხვისა
და სხვისა ფერითა და განსტნობიან ავსოვრებით
აშქარად, თავზედ ქსურავსთ რგინის ზუჩები, ტან-
ზედ ატვიათ მოკლე კაბა, სომძარი იარაღი აქვსთ:
ხის ფარი, ხელ-ძეხა და რბირი ნაჯახი. მოსი-
ნაკების შემდგომ ზღვის პირზედ ქსტნოვრებენ
ხალიბნი და მათ შემდგომ ტიბარენნი, მახლობელ
ქალაქისა კოტიორა. ტიბარენთა ადგილი არის
ვაკე და მდიდარი ნაყოფიერებითა,“ და სხვანი.

პირველი ხალხი, რომელიც მოისსენება ზემოსსენე-
ბულს განსილვასში, არის ფაზიანი, ქართველთა ბასიანელი.
ბასიანსა, როგორც ქსჩანს ქსენოფონტის აღწერისგან,
ქრწყავს მდინარე არეზი, რომელიც ადგილის გამო ისახე-
ლებოდა, აწცა ისახელების ფაზის მდინარედ (ფასინ სუ-
რსმალთა). მცნოვრებნი ბასიანისა ან ფაზიანნი ქსენო-
ფონტისა (1) არ ეკუთვნოდენ ნათესაობით არცა საქარ-
თველას ხალხთა, არცა სომხისა(2) და ლეროღოტის დროს

(1) წიგნი 4 §. 6.

(2) სტრახ. წიგნი 12 თავი I. § 1.



იწოდებოდნენ ალაროდინად (4). ვახუშტი თავის საქარ-
თველას აღწერაში ჭსწერს, რომ ეს ადგილი წინაპირვე-
ლად ეჭირათ სომეხთა, მათ შემდგომ დაიმონიეს ბაგრა-
ტიონთა და შემოაერთეს სამცხესა და მუნიდგან ეკუთნ-
ვის საქართველს (5). აწ ბასიანი შეადგენს არზრუმის
ქვეყანასა.

მეორე ხალხი ხსენებული ქსენოფონტესაგან არიან
ტაოხნი ე. ი. ტაოლნი, ან ტაოს მცხოვრებნი (6). ტაო,
ცნობილი საქართველს თემი, აწცა მდებარებს მარცხნივ ნა-
ზიანსა ჭოროხის მდინარისა, გარნა მარჯვნივ ნაპირზედ
იყო არტანუჯის საერისთავო. უპირველესი ქალაქი ტაოში
იყო და აწცა არის ოლთისი; ტაოსი ჭსწყამდა თორთო-
მის მდინარე, ტოტი ისპირის მდინარისა: სამზღვრად
ჭქინდა ჩრდილოეთით მთები, რომელნიც შეუდგებიან
ისპირის ხეობას და სამხრეთით ირავლუს მთა (აწ კარგა
ბაზარი და მოსხის მთა), რომელიც გაჭყოფდა ტაოს
ბაზიანისაგან. აქ სათანადო არის შენიშვნა რომელ კი-

(4) ლეროდ. წიგნი 3 § 90 94.

(5) ვახუშტისა გამეც. უფ. ბრასკეტისაგან გვ 120.

(6) ქსენ. წიგნი 4 § 7.



მარტის ქარტეზულ ჭეორიას სახელს ჭსდებენ ისპირის-
 ხეობად, და ნამდვილს ჭეორიასა თავასუფ და ოფთისსუფ,
 წინააღმდეგ ძველთა მწერალთა და ვახუშტისა აღწერისა (1).
 მას ზევით მდებარეობდა სპერსი ქართველთა მწერალთა
 ისპირის ხეობა; ტაო და სპერსი შეადგენდნენ კლარჯეთის
 საერისთავსა. (2)

აწინდელთა სომხების მწერალთა ჭგონიათ, რომ
 ორივე ეს თემი, ე. ი. ტაო და სპერსი ეკუთვნოდნათ მათ
 და იუვენს მუნ მკვიდრნი მოსახლენი; ეს აზრი ტყუილია,
 ძველნი მწერალნი თვით სომეხნი ამტკიცებენ წინააღმდეგ-
 სსა (3). აქ არ იყო სომხობა, ეს იყო ნამდვილი საქარ-

(1) ვახუშტის ქარტა და აღწერა, გვ. 120. ისპირის
 მდინარეს ქსენოფონტი ახსენებს ჭარფასად. ნახე ზევით
 შენიშნულობა.

(2) სპერსი, ან ისპირი ცნობილიყო ძველთა მწერალ-
 თაგანცა; ლეონდოტე უწოდებს ჭესპერად, ან სასპირად.

(3) მასე ხორენაცის ლეონდოტის, სენ-მარტენის ნა-
 თარგმნი. ტ. 2, გვ. 357, სადაც კლარჯეთს უწოდებს
 გესარდი; კარდანიის გეოგრაფიას სენ-მარტენის ნათარგმნი
 გვ. 427, სადაც სინათლით ამბობს რომ დაივი, ე. ი.
 ტაო, ეკუთვნის იბერიის და მთულის ისპირის
 მდინარე.



თველო, სახელ-ედებოდა შემო ქართლი და აწა სომხი-
თი. აწცა იწოდების რსმაღთაგან გურჯისტანად და
მკვიდრნი მოსახლენი აწიან გათათრებულნი ქართველები,
რამელთაც არ დაუვიწყნიათ ქართული ენა.

აქ გამოჩნდნენ შირველად ბაგრატიონები, ეს იყო
მათი სამშობლომამული. სომხებსა ჭგონიათ, რომ რაც
ბაგრატიონებს ეჭინათ მამული და ადგილები იქ სულ
სომხებს იყო, —ამაზედ ძალიანა ჭსტობიან: ჯერ თვით
ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები. მოსე სორენაცი მო-
უთხრობს რომ „შამბა (სუმბატ) ბაგრატიონი, თავის
ნებით შევიდა მთარველობას ჭვეშე ვადარშაგისა სომხთა
მეფისა, რომელმან ნამსახურობისათვის უბოძა ერის-
თობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაზარაკობენ სომ-
ხურად (1)“. დასავლეთი სომხითისა არის: ბასიანი, ტაო,
სპერი, არტანუჯი, და სსვ. რომ ბაგრატიონები არ იყვნენ
სომხები და არცა ჭრწმენდათ სომხების საწმუნრება მოსე
სორენაცი მრავალჯერ განამეორებს. ჩვენი ცხოვრება
მოუთხრობს რომელ ბაგრატიონნი, ჩამომავალნი დაკით
წინასწარ-მეტყველისა და მეფისა მოვიდნენ IV საუკუნე-

(1) მოსე სორენაცი ემინის ჩათარგმნი გვერდი 79.



ში⁽²⁾ ეკლესიად და სათელ-იღეს ხელითა რაქილ დედოფ-
ლისათა⁽³⁾. ჭეშმამარიტად პირველი ბინადრობა ბაგ-
რატიონთა ამ ადგილებშია და არა სომხითში, ეს იყო,
როგორც ვჭსთქვით, მათი სამშობლო ქვეყანა. შემდგომ
ქართლისა და კახეთის დაზღურობისა არაბთაგან ქართვე-
ლობა განძლიერდა ამ ადგილებში. მეშვიდე საუკუნეში
ქართველებმა, დავით გაკესჯის უდაბნოს მაგიერად, აქ
დააფუძნეს ოლთისის მონასტერი, თავი და დასაბამი
სამღვთო და საეროთა სწავლათა, აქ განვჭრტელდა, წი-
ნააღმდეგ მატყმადიანობისა, ქრისტიანობის სარწმუნოება,
ასე რომ IX საუკუნეში აქ იყო მ¹³ სამღვდელ-მთავრო
საყდარი ან ეპარხია: მაწყურელი (აწყურში); გუმურ-
დოელი (გუმურდოისა ან ჯავახეთისა); იშხელი (ან სხე-
რისა); ანხელი (აჭარისა); მტბეკარი (ტბეთისა ან შავ-
შეთისა); წურწუმელი (წურწუმისა); წყაროსთველისა (თე-
სოხუდურეთისა); ვალაშკერთელი, ანელი, კარელი (კარი
და ოლთისი); ბანელი (ტაოსკარი და თვანასვერტი); და-
დაშნელი (კოლა და არტაანი); ამათ გარდა ბაიბერთის

(2) უფ. ბროსსეტის ქართლის ცხოვრება.

(3) ეკლესია არის ეკესეიერი სცილასქისისა, აწ დახისტა-
ნი და არა აქცილინა, როგორც მოუთხრობს უფ. ს. მარტენი.



ახლანდელს აშენებულ იყო სასულიერო მონასტერი. ეს იყო სამშობლო ქვეყანა ჩინებულთა სამღვთო მწერალთა, წმინდათა მამათა იოანესი, კვთვიმისა, გიორგი მთაწმინდისა, გიორგი ოლთისელისა და სხვათა მრავალთა, რომელთაც სულ ახლად გვითარგმნეს სამღვთო წერილები. აქ იშვა ერისთავი თორნიკი, აღმაშენებელი დიდის ივერიის მონასტრისა ათონის მთაზედ, აქ გამაჩნდნენ უწარჩინებულესთა ამბავთა მწერალნი და მოშიარქნი, ვითარ: შოთა-ჩუხთუელი, სარგის თმოგველი, აბდულ მესხია შავთელი და სხვანი.

მესამე ხალხი იყვნენ ხალხი. ქსენოფონტი ორჯულ მოიხსენებს ამ ხალხს, პირველად, ვითარცა მცხოვრებთა, ცოლთ შემდგომი, ისპირზედ, და მეორედ შავის ზღვის პირზედ მსგავსელ გერასენის ქალაქისა. სტრაბონი ჭკონებს რომ ხალხები ის ხალხნი არიან, რომელთაც უძირლოს (1) სასულქსდებს ჭალიზონად, ან ჯაზხელად (2), აქ მოსულან ადგილიდამ ჰალიზე, სადაც იბრუნება ვერც-

(1) სტრაბონი წიგნი 12, თავი ორი, § 19 და 21; აღიადასტისი 856, 857.

(2) ე. ი. მცხოვრებნი ჭალიზის (კიზილკმაკი) ან ჯაზხის მდინარის ნაპირზედ. სტრაბ. მუნვე.



ხლის მადანი. ვივიენ სენ-მარტენი გვაუწყებს (1), რომელ
ჭალისონები აწ ალაზნელები იყვნენ აქ მოსუფნი და
დასახლებუფნი თერმადონის მდინარის პირსუდ, ტრკა-
დის ბრძოლის უწინ. უფ. ღუბოა (2) დარწმუნებით ამ-
ბობს, რომ ხალებები ან ჭალისონები, ან ალაზნელები
ჭსტხოვრებდნენ წინაპირველად ალაზნის მდინარის სა-
პირსუდ კახეთში. ეს აზრი დასაჯერებელია პირველად
ამიტომ რომ ძველი მწერალნი, მაგალ. სტილასეს კონი-
ანდელი (3) და პლინი (4) ჭსწერენ, რომ ხალებები მო-
სახლეობდნენ როგორც აქ პონტოს სამეფოში, ისე
ქართლში, — და ამითი ჭხანს რომ იყვნენ ერთი და იგივე
ხალხი. მეორე, — მტირეს აზიაში აწცა იპოვებისან მხავალ-
ნი სახელნი მდინარეთა, ქალაქთა, ადგილთა, რომელნიც
იხილებისან საქართველოშიაც, მაგალ. ქიზივი ქალაქი
მდებარე მარმარისის უღვის პირსუდ და ქიზივი, მღუ-
ბარე კახეთში; ქუთაია ქალაქი, მდებარე თრასიის მდი-

(1) მტირე აზიის აღწერა, ტ. 1. გვერ. 250, 251.

(2) მოგზაურობა ტომ. 4, გვერ. 133, 139.

(3) ღუბუას ძველი ქარტები ატლასში.

(4) წიგნი თავი 6, 10.



ნარის სათავეზედ, და ქუთაისი იმერეთისა; მდინარე უნ-
 გური რომელსედაცა ჭსდგას ქალაქი ანგორა ან ენგური
 და მდინარე სამეგრელოსი ენგური; ონის ქალაქი შავის
 ზღვის პირზედ მახლობელ ჭალისის ან კიზილყერმაჯის
 შესართავისა და ონი იმერეთში; ჭალიზი ან ალაზანი და
 ალაზანი კახეთში და სხვანი მრავალნი.

მეოთხე ხალხი ქსენოფონტისა არიან მაკრონი,
 სტრახონი ამბობს რომელ მაკრონები იმის დროს იწო-
 დებოდნენ სანად (1), რომელთაც პლინი (2) სახელ ჭსდებს
 სანად გენიოსად, არიანი ტანად (3) და კიზანტის მწე-
 რალნი ტრანად (4). ყველამ ვიციით რომ ბერძნებს არა
 აქვთ ასო ჭ. ამისთვის ჭ მაგიერად ზოგს უხმარია „ს“,
 ზოგს „ტ“, ზოგს „ტრ“. სანი ან ტანი ან ტრანი არის
 ქართველებისა ჭანი (5). დროდროტიც მოიხსენებს მაკ-
 რონებსა და მოუთხრობს, რომ მათ ჭქონდათ ჩვეულება

-
- (1) სტრახ. წიგნი 12, თავი 2, §. 19.
 - (2) წიგნი 6, თავი 3.
 - (3) არიენის აღწერა შავის ზღვისა, გამოც. გოფმანისა
 - (4) სტრბოტიკის მატთანე ტ. 4 გვ. 220, 225, 226.
 - (5) ჭანი ქართულად ნიშნავს გამხდარსა, ჭნავსა.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

წინადაცუთისა, როგორც კოლხიდელებსა (1), სწავლასა
უწოდებს მაკრონებს მაკროცეუალი (2). მაკრონები სას-
ლობდნენ ჭოროხის მდინარის მარცხნივ ნაპირზედ, სადაც
ესლას ღაზები დგანან (3), და მარჯვნივ ნაპირი ეჭირათ
ივერიელთა. ქსენოფონტის აღწერა ამას სრულებით ეთან-
ხმება. როდისაც ქსენოფონტი ჰქაზასის მდინარეს გავიდა
(ისპირის ხეობა), და გადაიარა ნაჭილობუკის მთები, რომ-
ელნიც აწცა განსაზღვრენ ჭანეთსა სამცხისსაგან, მაშინ
შევიდა მაკრონების ქვეყანაში, რომელიც ამ სახით მდებარ-
ებს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა. მაკრონებს,
ე. ი. ჭანებს, რომელნიც ჰსასლობდნენ მთებში, უწოდებს
სებტაკომედად (ე. ი. შვიდი კოშკი), და დაუმატებს,
რომ სებტაკომეტებსა ძველად ერქვათ მოსინაკები ე. ი.
კოშკებზედ ან ბურჯებზედ მცხოვრებნი (4); ამისაგან
ჰსჩანს რომ მოსინაკები და მაკრონები ერთი და იგივე
ხალხია, ჭანად წოდებულნი. ამას გარდა სტრაბონი გვა-

(1) ღეროდ. წიგნი 2, § 104.

(2) ღუბუას ძველი ქარტები ატლასში. მაკროცეუალი,
ბერძნ. გრძელ თავიანი.

(3) სტრიტორის მატეანე 4 ტ. გვ. 395.

(4) წიგნი 12, თავი 2. §. 19.



უწყებს რომელ სახებშია (ჭანულებში) მოსტეს სამი გუნდი რომაელთა მხედრობისა, მიდრიდატის დიდის ომის დროს ჰირის ჰირ რომაელთა. იუსტინიანე იმპერატორის დროს შევიდნენ მოჩხილებას ქვეშე ვიზანტიისა და მიიღეს ქრისტიანობის საწმუნოება.

მესუოე ხალხი იუვენ ტიბარენნი, სახლობდნენ ვაკე ადგილებზედ, გარემოს თერძეს მდინარისა, მასლობელ კოტიორას (აწ ორდუ) ქალაქსა, შეიმუშავებდნენ მიწასა და ჭევიანდათ მრავალი საქონელი, წესი და ჩვეულება ჭევიანდათ მსგავსად ივერიელთა (1). ტიბარენნი, სალაბები სახლობდნენ ჩოგორც აქა, ისე სამცხეში და ქართლში (2). სამჯგოთა წიგნი და გეროდოტის აღწერაში მოხსნი და ტიბარენნი ან თობაღი ერთად მოიხსენებია, ვითარცა ერთად ერთი ხალხი (3). ვიზანტიის მწერლები არ მოიხსენებენ ამ ხალხსა, რადგანაც მათი სადგომი ადგილები იმ დროს ეჭირათ ჭანულებსა.

ამ ხალხთა განსილვისაგან ჭხანს, რომელ ტაოელნი და ისპირის ხეველნი, სომეხთა სხუნი, — შეადგენდნენ კლარჯეთის საკრისთაოსა. ეკუთვნოდნენ ნათესაობით საქართველოს ხალხსა, იწოდებოდნენ, ახლაც იწოდებიან

(1) სტრახ. ტ. 1 გვერდი 484.

(2) გეროდ. წიგნი 3. § 94; სცილაქს კოჩიანდელი, დუბას ძველი კარტები ატლასში.

(3) და ბად. მესაქმეს წიგნი თავი 10 მუხლი 2; ეზუკიის წინასწარ-მეტყველება თავი 27, მუხლი 13—21; კვლად 32—26; 38—2.



მესხად. კლარჯეთის საერისთოს აწცა ოსმალი უსმობენ გუჩუისტანად. ე. ი. საქართველოდ; ხალიბები, სტრახონის დროს იწოდებოდნენ ხალდად და არა ქალდეკელად. ხალიბი ან ხალდი და ჭანი ერთი და იგივე ხალხია. ესე ჭხანს, ზირველად ვიზანტის მწერალთაგან, რომელნიც კვატეშმაცრიტებენ რომელ ჭხანი იყვნენ ხალდიის მოსახლეები (1); მეორედ: მოსე ხორენაცი, რომელიც მოგვითხრობს, რომელ რომის იმპერატორი ტაციტი იყო მოკვდინებული ჭხანთში ან ასტაქსში, ე. ი. ხალდაში (2); აგრეთვე სომეხთა მწერალი ეგიშე ამტკიცებს ზემოხსენებულსა (3). მესამედ: ძველი მწერალი, მეტადრე ქსენოფონტი (4) და არიენი (5), მთელს ზღვის ნაპირსა, რომელიც ეჭირა ზენტოს სამეფოსა, უწოდებენ კალსიდად. როგორცა ჭხანს მოსეს ხორენაციის დედნათვისაგან, კალსიდა ან ეგერი განიყოებოდა ოთხ თემად: მაგნედიზი, პტოლომეას მანრალია ან აწინდელი სამეგრელო; ახრიუგა აწარგვეთი ან იმერეთი; ღაზივი აწ გურია და ჭხანივი აწ ჭხანივა ან ტრაპეზუნის ჰამალივი (6). ევროპიელი ჭხანებს უწოდებენ

(1) სტრიციონის ძარცვანე ხალხთა გ. 4. გვ. 229.


(2) მოსე ხორენ. თარგმანი ემინისა, გვერდი 127.

(3) რუსული ნათარგმნი ჰანშიევისა გვ. 127, ფრანგიც. ნათარგმნი დულორესი, გვერ. 209.

(4) გამოცემ. გოფმანისა გვერდი 5.

(5) ქსენოფონტი წიგნი 4. 5 და 6.

(6) ს. მარტინის ნათარგმნი გ. 2 გვ 357.



დებენ ლაზებსად. ლაზები, რომელნიც კსწიერს პლანი, აწიენი და საკუთრად ვიზანტიის მწერლები, კსტროფებდნენ აწინდელს გუგიაში. ლაზებმა მეათესე და მეხუთე საუკუნეში დანიშნეს იმერეთი და სამეგრელო და შეადგინეს ერთი სამეფო, რომელსაც ერთის მხრით ვიზანტიელები და მეორეს მხრით სპარსნი ერთმანერთს ეცილებოდნენ და ქქონდათ ას წლამდი ბრძოლა. ლაზისტანსა სამხრეთის სამხდგრის ნაზირსეიდ ქქონდა შეტრეს ცისე (ქაჯთა ცისე ქართველთა) ქობულეთში (1). ლაზი ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მეგობრესა ან ავასაკსა.

ხალხის სახელები, რომელნიც ამის ზეგით მოვიხსენეთ, აწიან ან ქართულნი: ვითარ ისპირელი, ტაოელი, ჭანი, მესხი, — ან ბერძნულნი, ვითარცა ხალიბი, ხალდი, მოსინავი, მაგრარი, მაგრაცეუვალი, სეპტაკომიტი, ტიბარენი ან თობალი.

ქართულნი სახელები აქამომდე ღაჩნენ შეუცვლელად, გარნა ბერძნულნი დროთა ვითარებისაგან განქქარდნენ.

მთელი აწინდელი ტრავპუსუნდის ზამალიკი დასახლებულია ჭანებითა.

აქა ჯერ არს. შენიშნავად, რომელ აწიცა მრავალნი სახელნი მათათა, მდინარეთა, ქალაქთა, დაბათა ტრავპუსუნის ზამალიკში აწიან ქართულნი, ვითარცა: ნაჭილობევის მთები საშუადა ზონტოს სამეფოსა, თემი ყომურს


(1) აწიენის გამოცე. გოუმანისა გვ. 55; მატიაზე სალსთა სტროიციონისა ტომი 4 გვ. 224.



(ქმუცა) ტრეპუნის დაბლა; გომში (კამბეხი მკოლ-
 ლად) სდაც კარის ქანია; ქაჯთ კარი (ძთა), გაცურის
 ძთა; ჭ ლა, ძთა ქალაქის კუდასკის მსწობლა; ხუბანი
 ძთა ბაიურას ქალაქის ახლას; ქურდბელი, ძთა ქალაქის
 ნიკსარის მსწობელი; თაგშავის ძთა, მდინარის კიბილ-
 ურძავის მსწობელი; ჭაღისას მდინარე ან ალაზანი ირი-
 სეს მდინარე და სხვანი მრავალნი.

ზემოსტეგელის განხილვისგან ჭინს რომ ყო-
 ფილა ჰონტის სემუგში ან აწინდელს ტრეპუნის
 საფშოსში მკვიდრი მოსახლენი იყენენ ჭახუნია, რე-
 მელთაღ ენა სრულიად ემგზავება მკრელთ ენასა. და-
 სამტკატვლად ჩვენისა აზრისა, განვისილთ ღრამბატი-
 გული მწულობი რთვე ენისა. ვალად ვრაცნ ქე გამოცხა-
 დებასა რომ ჭახურის ენის ღრამბატიკის განხილვი გა-
 მომიგზავნა მე ზატვიტეშელმან თავადმა გრაგოლ დავი-
 თისძემ გურეულმა, რომელმან ან რიდა შრომა და იავს
 დადებით და გულმოდგინებით მისცა წარმატება აღსასწ-
 ლად ჩვენისა წინადადებისა.

ხაჯვალ სასელი ყოველს ენაში აწის უზირველესი
 სიტყვა, რომელიც განჭკარგავს როგორც სიტყვის სა-
 ხელსა ისე ზმინასა. ქართულს ენასა აქვს რე გვარი ში-
 რლვანი ხაჯვალ-სახელი, შირველი კერძობითი, ვითარცა:
 მე, შენ, ის, იგი, მან, ჩვენ, თქვენ, იგინი, ისინი, ძთა, —
 და რთულები ზმინათა თანა: ვჭ, ვა, ვი, ვუ, ვე, მ, მა, მი.
 შირველსა და მეორეს შირთა კერძობითა ხაჯვალ სა-
 ხელთა არა აქვსთ განკლდობა. ჩემი, რომელიც მოუღიათ
 ჩვენს ღრამბატიკის მწკრალთა, ვითარცა ხათესლობითი



ბრუნვა, ან იმხარება როგორც ნათესაობითი ბრუნვა, ანაძედ ვითარცა სასკელობითი ბრუნვა, რომლისა ნათესაობითი არის ჩემისა, მიტ. ჩემსა, მოქმ. ჩემთა და სს. აგრეთვე შენი ან არის პირობითი ნაცვალ სასკელა, ანაძედ მოგებითი. ჩვენი ენა შეადგენს ერთსა დარგსა ინდოევროპიულის ქებისას, ძალიან ძველია და შეცვლილი დროთა ვითარებისაგან. სპარსული და სომხური არიან უახლესნი ვიდრე ქართული და ამის გამო ცოტად შეცვლილნი არიან. თალიშინის ენაში(1), რომელიც მონათესავეა სპარსულის ენისა, ვჭმრავებთ პირიქვანს ნაცვალს სასკელსა მე; ეს ნაცვალ სასკელი თქმულს ენაში არის აგრეთვე შეუცვლელი და არა მქონი პოლოს ცვლილებისა; დასანიშნულად ნათესაობითის ბრუნვისა თალიშნელები უმატებენ თანდებულსა ჩუ, რომლითაც შესდგება ჩემუ და ჩემი; მსგავსადვე შესადგენად მიტომითის ბრუნვისა თავს უსმენ სხვას თანდებულსა, რომელსა ბი და შეადგენენ ბიმე. აგრეთვე ფრანციულს ენაში პირიქვანს ნაცვალ სასკელსა, სრულიად მსგავსისა ქართულის, რომელსა მე(me). მოა(moi)ან შეიცვლის პოლოსა, და დასანიშნულად ნათესაობითისა ან მიტომითის ბრუნვისა ხმარობენ სხვა და სხვათა თანდებულთა. ნაცვალ სასკელი ჩემზედ, ჩემთან, მიიღებს მნიშვნელ აზასა ნათესაობითის ან მიტომითის ბრუნვისას; ნაცვალ სასკელი მესამეს პირისა ის, ეს, ეგ, იგი, მრავლ. ისინი, ეგანი, იგინი, აგრეთვე არიან შეუცვლელნი, გარსა ნაცვალსახელი მან, იმან (შემოკლებით იმ), არის ცალადი: ნათ. მის, მიტომ. მას; მრავლობ. მათ. აგრეთვე მეგრულს

(1) Записки Кавк. Общества кн. 3-тая.



ჰაიბ, ან ჰაიბ

და ჭანუკს ენაში თქმულნი ნაცვალსახელნი არიან უცვალ-
 ლებულნი: მე მეგრ. და ჭანუკ. მა, ჩვენ მეგრ. და ჭან.
 ჩქუ; შენ, მეგრ. და ჭანუკ. სი; მრავლ. თქვენ მეგრ.
 და ჭანუკ. თქვან. მესამე პირი იმ, იმან, მეგრ. და ჭან.
 მუ, ნათესაობ. მისი, მეგრ. და ჭანუკ. ჰემქში; მიცემ.
 იმას, მეგრ. და ჭანუკ. ჰიმუშა; ისინი, მეგრ. და ჭანუკ.
 ჰიმი; ნათეს. და მიცემ. იმათ, მეგრ. და ჭანუკ. ჰინისა;
 მოგებითი ნაცვალსახელი ჩემი, მეგრ. და ჭანუკ. ჩქიმი;
 მრავლ. ჩვენი, მეგრ. და ჭანუკ. ჩქინი; შენი; მეგრ და
 ჭანუკ. სქანი, თქვენი, თქვანი; იმისი, ან ემისი მეგრ.
 და ჭანუკ. ემუში; რა, მეგრ. და ჭანუკ. მუ და სხვანი.

რთულნი ნაცვალ სახელნი, რომელნიც მოზაკების
 ზმნათა მპირთვლებად, იმპრების ან მარტივად, მაგ. ვჭ,
 ვა (ვჭსწერ, ვზომ, ვაყრი); ან შეერთვით, რომელსაც ორნი
 ნაცვალ სახელნი შეერთდებიან, მაგალ. ვი, ვუ (ვიწერ,
 ვიზომ, ვუწერ, ვუზომ); ვი შედგების ორის ნაცვალ სახე-
 ლისაგან ერთი ვ, მეორე ი მაგალ. ვიშენებ,
 შენებს ადვანსრულებ ჩემთვის, ჩემს სასარგებლოდ; აგრე-
 თვე ვუ, შედგების ორის ნაცვალ სახელისაგან კ პირვე-
 ლის პირისა და უ მესამე პირისა, მაგალ. ვუშენებ. ე. ი.
 სასარგებლოდ ვისთვისმე ვაშენებ. ნაცვალ სახელი უ იზო-
 გების სპარსულს ენაშია, აქედამ ჭსწარმოების რუსული
 ОНЪ, და ფრანტიული ON; ამ გვარი ნაცვალ სახელები
 იზოგების მეგრულში და ჭანუკს ენაში. მაგალ. ვჭსწერ;
 მეგრ. და ჭანუკ. ვჭსწერუ; ვიწერ, მეგრ. და ჭანუკ., ვი-
 წერუ; ვუწერ, მეგრ. და ჭანუკ. ვუწერუ.

მიმოხვკა ზმნისა წერა, მეგრ. და ჭანუკ. ჰარუა



ა წ მ დ გ ო მ ი :

ქართული: ვჭსწერ, ჭსწერ, ჭსწერს; ვჭსწერენ, ჭსწერეთ, ჭსწერენ.

მეგრული: ვჭარუ, ჭარუ, ჭარუნს; ვჭარუნთ, ჭარუნთ, ჭარუნს.

ჭანური: ვჭარქმ, ჭარქმ, ჭარქმს; ვჭარქმთ, ჭარქმთ, ჭარქმს.

ს რ უ ლ ი :

ქართული: ვჭსწერე ჭსწერე, ჭსწერას; ვჭსწერეთ, ჭსწერეთ, ჭსწერეს.

მეგრული. ვჭარა, ჭარი, ჭარუ; ვჭარით, ჭარით, ჭარეს.

ჭანური. ვჭარი, ჭარი, ჭარუ; ვჭარით, ჭარქმტით, ჭარეს.

მიმდევრად უმნიშნა ვარ, მეგრულ და ჭანურ. ვარე.

ა წ მ დ გ ო მ ი :

ქართული: ვარ, ხარ, არს; ვართ, ხართ, არიან.

მეგრული. ვარე, არექ, არე; ვარეთ, არეთ, არენს.

ჭანური. { ვარე, არე, არუ; ვარეთ, არეთ, არენს (თავ. გუროელის გრამატიკა.)

ჭანური. { ბარექ არე, ქარენ; ბარეთ, ქარეთ, ქარენს. (როზენის გრამატიკა.)

ს რ უ ლ ი :

ქართული: ვიყავ, იყავ, იყა; ვიყავით, იყავით, იყვენ.

მეგრული: ვარდი, არდი, არდუ; ვარდით, არდით, არდეს.



ჭანურად: ქაზორტი, აზორტი, —; ქაზორტი, ქაზორტი, ქაზორტი.

კანკელადობა სახელისა ტყე, მეგრ. ტყე, ჭანურად დად. წრფელ. ტყე, მეგრ. ტყე, ჭანურ. დად; ნათეს. ტყისა, მეგრ. ტყისი, ჭან. დადიშ; მიცემ. ტყესა, მეგრ. ტყეს, ჭან.. დადიშა; მოქმ. ტყითა, მეგრ. ტყით, ჭანური, დადითე; მრავლ. წმ. ტყეები, მეგ. ტყეაფი, ჭანურად დადიეფე; ნათეს. ტყეებისა, მეგრ. ტყეაფის, დადიეფის; მიცემ. ტყეებსა, მეგრ. ტყეფს, ჭანური, დადიეფმა; მოქმ; ტყეებითა, მეგრ. ტყეაფით; ჭან. დადიეფით.

ჩიცხვითი სახელნი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი. მეგრული, — — ართი, ყირი, სუმ, ოთხი, ხუთი, ამძვი. ჭანური, — — არ, ყურ, სუმ, ოთხუ, ხუთ, ამ.

ქართული: შეიდი, რვა, ცხრა, ათი, ასი, ათასი. მეგრული, შექვითა, რულ, ჩხორა, ვითი, ოში, ათასი. ჭანური, შთვიდი, ორვა, ჩხორა, ვით, ოში, შილია.

ამ მცირე გამიჯვითა ჭიანს, რომ ჭანური ენა დადიან ემსგავსება მეგრულსა. დასასრულს ეს უნდა ვჭებთქვა, რომელ საქართვულას ხალხი მკვიდრობდნენ და აწცა მოსახლენი არიან, ქართლისა, ვანეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი, გურისსა, აწინდელს ტრაპუნის საფაშოში და უჭინკეთ შავი ზღვის ნაპირი კოდორის შესართავი-დამ ვიდრე შესართავადმდე კიზილყარმაცისა და იყენენ მეფეს დროში უპირველესნი ხალხნი, ჩინებულნი და დირსნი შესანი მნავად.

დავით ჩუბინოვი.

